სამეწარმეო განათლების განვითარება სასკოლო განათლების სისტემაში

გიორგი ჭანტურია

2022

გიორგი ჭანტურია

სამეწარმეო განათლების განვითარება სასკოლო განათლების სისტემაში

ctc Empowering People for Change
SKOLA-LAB
სკოლა-ლაბი
Visegrad Fund

პოლიტიკის დოკუმენტი შექმნილია ვიშეგრადის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „მეწარმეობის სწავლება სკოლებში – PEERS“ ფარგლებში. მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ორგანიზაციის თვალსაზრისს.

ავტორი:

გიორგი ჭანტურია

დოკუმენტის შინაარსზე მუშაობდნენ:

ირინა ხანთაძე,
ანა მენაღარიშვილი,
თამარ უზუნაშვილი.

მადლობა ჩართულ მკვლევრებს:

მერი ქადაგიძე,
მიხეილ იაშვილი,
ქეთევან სხილაძე,
ირაკლი მაჭარაშვილი.

მადლობა პარტნიორებს:

ვიშეგრადის ფონდი,
MeOut ასოციაცია (უნგრეთი),
Centrum pro podporu podnikání a zaměstnanosti, z.ú (ჩეხეთი),
Združenie Mladých Maďarských Podnikateľov na Slovensku o.z (სლოვაკეთი)

წინასიტყვაობა

მრავალი წელია კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) აქტიურად მუშაობს საქართველოში მეწარმეობის განვითარებაზე. 2019 წელს, სკოლა-ლაბის პროგრამის დაფუძნებასთან ერთად, ორგანიზაციამ ფოკუსირებულად დაიწყო საქმიანობა სამეწარმეო განათლების ხელშეწყობის მიმართულებით.

სწორედ სკოლა-ლაბის პროგრამის ფარგლებში მომზადდა პირველი ანგარიში, რომელიც მიმოიხილავს მეწარმეობის სწავლების საკითხებს ზოგადი განათლების სისტემაში. დოკუმენტში ასევე აღწერილია საერთაშორისო ტენდენციები და კარგი პრაქტიკის მაგალითები. რაც მთავარია, ანგარიში წარმოაჩენს იმ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რაც საქართველოში სამეწარმეო განათლებას უკავშირდება (დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ სკოლა-ლაბის ვებ-გვერდზე - www.ctcskolalab.ge).

აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე განხორციელდა პროექტი - „მეწარმეობის სწავლება სკოლებში (PEERS)", რომელსაც ფინანსურად მხარს უჭერს ვიშეგრადის ფონდი. ინიციატივა გულისხმობს ვიშეგრადის ქვეყნებში მეწარმეობის სწავლებასთან დაკავშირებული საუკეთესო გამოცდილებებისა და პრაქტიკების გაზიარებასა და ჩვენს ქვეყანაში დანერგვას. პროექტის ფარგლებში, პროგრამის გუნდმა და შერჩეულმა ახალგაზრდა მკვლევრებმა მონაწილეობა მიიღეს 2 დღიან სასწავლო შეხვედრაში, სადაც ისინი მეწარმეობის სწავლებასთან დაკავშირებით უნგრეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის გამოცდილებებს გაეცნენ. აღნიშნულ გამოცდილებებსა და პრაქტიკებთან დაკავშირებით, მომზადდა „შემთხვევის ანალიზები" და თემატური ვებინარები. ეს და სხვა საინტერესო ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლა ლაბის ვებ-გვერდზე.

მოცემული პოლიტიკის დოკუმენტიც სწორედ ამ პროექტის შემაჯამებელი დოკუმენტია და იმედი გვაქვს, თავის წვლილს შეიტანს სამეწარმეო განათლების განვითარებაში.

შესავალი

ბოლო რამდენიმე ათწლეულია სამეწარმეო განათლების განვითარება ევროკავშირის ქვეყნებისთვის განათლების პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად საკითხად არის მიჩნეული. ამის ერთ-ერთი დადასტურება იყო 2006 წლის ოსლოს კონფერენცია, რომელზეც შემუშავდა კონკრეტული ჩარჩო დოკუმენტი სამეწარმეო განათლების განვითარებისათვის.[1] 2022-2030 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის მიხედვით სამეწარმეო განათლება დეკლარირებულ პრიორიტეტად ითვლება, როგორც სამინისტროსათვის, ასევე საქართველოს მთავრობისთვისაც.

კვლევები ადასტურებს, რომ მეწარმეობის სწავლება ხელს უწყობს ახალგაზრდებში, როგორც დასაქმების პრობლემის მოგვარებას, ასევე ავითარებს ისეთ უნარებს, რომლებსაც გრძელვადიან პერსპექტივაში საზოგადოებისათვის სასიკეთო სოციალური ცვლილებების მოტანა შეუძლია (Eurydice, 2016). ევროკომისიის ეგიდით შეიქმნა მეწარმეობის კომპეტენციების ჩარჩო (EntreComp), რომელიც მოიცავს პრიორიტეტული კომპეტენციების ჩამონათვალს, როგორებიცაა კრეატიულობა, რესურსების მობილიზება, სხვა ადამიანების შთაგონება, ინიციატივის აღება, დაგეგმვა, გუნდური მუშაობა და ა.შ.

ევროპის საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, ქვეყნებმა უნდა: „იზრუნონ, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, სამეწარმეო უნარების, კრეატიულობისა და ინიციატივების გაძლიერებაზე. მაგალითად, ხელი შეუწყონ ახალგაზრდებს სასკოლო განათლების პერიოდში მიიღონ, სულ მცირე, ერთი პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილება მაინც.“

მიუხედავად ამისა, მეწარმეობის დანერგვა სასკოლო განათლებაში პრაქტიკული თვალსაზრისით უამრავ გამოწვევასთან არის დაკავშირებული, მაგალითად, რესურსების და დროის სიმცირე, ბუნდოვანება დეფინიციასთან მიმართებით, მასწავლებლების კომპეტენცია და შიშები კომერციალიზაციის კუთხით, მათი მომზადებისა და გადამზადების საკითხები, შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეები და ა.შ. აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით თვალსაჩინოა განვითარებადი ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის.

დოკუმენტის მიზანია გამოკვეთოს სამეწარმეო განათლების დანერგვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და წარმოადგინოს კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოში მისი განვითარებისათვის. ჩვენი აზრით, სამეწარმეო განათლების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იქნება ისეთი ინტერვენციების განხორციელება, რომლებიც საფუძველს შეუქმნის უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. სხვა სიტყვებით, პირველ რიგში საფუძველი არის შესაქმნელი სიტუაციის გაუმჯობესებისათვის და ისეთი ქმედებების განხორციელებისთვის, როგორებიცაა ცნობიერების ამაღლება თუ რესურსების განვითარება.

დოკუმენტი ეყრდნობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)-ის მიერ 2015 წელს მომზადებულ ანგარიშს, რომელიც თავის მხრივ სტრუქტურირებულია შემდეგი პრინციპით - რა, რატომ, როდის, როგორ. გარდა ამისა, დოკუმენტში ასახულია დანიის მეწარმეობის ფონდის (the Danish Foundation for Entrepreneurship) მიერ შემუშავებული მიდგომები და მასალები.

[1] https://www.gvpartners.com/web/pdf/EC_Oslo_Agenda.pdf

რაც შეეხება დოკუმენტის სტრუქტურას, პირველ ნაწილში მოკლედ არის განმარტებული მეწარმეობის დეფინიცია **რა?**; მეორე თავში წარმოდგენილია ძირითადი არგუმენტები სამეწარმეო განათლების მხარდასაჭერად **რატომ?**; მომდევნო თავში განხილულია როდის რა უნდა ისწავლებოდეს მეწარმეობის კუთხით **როდის?**; მეოთხე თავში კი, განხილულია ძირითადი მიდგომები თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს მეწარმეობა **როგორ?**; და ბოლოს, ანგარიშში წარმოდგენილია მოსაზრებები თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სამეწარმეო განათლების განვითარებისთვის საქართველოში.

რა? რას ნიშნავს მეწარმეობა სასკოლო განათლებაში?

ნებისმიერი განხილვა მეწარმეობის შესახებ უნდა დაიწყოს დეფინიციაზე შეთანხმებით. ვიწრო განმარტების მიხედვით, მეწარმეობა დაკავშირებულია ბიზნესის განვითარებასთან, თვითდასაქმებასთან და იმასთან, რომ **გახდე მეწარმე**; უფრო ფართო გაგებით, მეწარმეობა დაკავშირებულია პიროვნულ განვითარებასთან და ისეთ უნარებთან, როგორებიცაა შემოქმედებითობა, ინიციატივის აღება, ქმედებაზე ორიენტირებულობა და ა.შ. სხვა სიტყვებით, **მეწარმეობრივ აზროვნებასთან**. ის თუ რომელი განმარტება გამოიყენება, მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, თუ რა და როგორ ისწავლება (Lackeus, 2015).

საერთაშორისო დონეზე მეწარმეობის არაერთი განმარტება არსებობს, რომელიც ვიწრო ან ფართო განსაზღვრებას ეყრდნობა. დანიის მეწარმეობის ფონდის მიხედვით, **მეწარმეობა ეს არის როდესაც შესაძლებლობებსა და იდეებს გარდაქმნი ღირებულ(ებ)ად სხვებისათვის**. ღირებულება შესაძლოა იყოს მატერიალური და არამატერიალური ხასიათის.

რაც შეეხება სამეწარმეო განათლებას, ფონდი მას შემდეგნაირად განმარტავს:

შინაარსის, მეთოდებისა და აქტივობების ერთიანობა, რაც ხელს უწყობს მოტივაციის, კომპეტენციისა და გამოცდილებების განვითარებას, რაც მოსწავლისთვის შესაძლებელს ხდის განახორციელოს და მონაწილეობა მიიღოს ღირებულების შექმნის პროცესში. სხვა სიტყვებით, მთელი ძალისხმევა მიმართულია საზოგადოებისათვის რაიმე ღირებულის შექმნისაკენ. შესაბამისად, ორგანიზაციის, სტარტაპის თუ საკუთარი ბიზნესის დაარსება განხილულია, როგორც ერთ-ერთი საშუალება ღირებულების შესაქმნელად.

აქედან გამომდინარე, იმას, რასაც ხშირად სამეწარმეო განათლებას ეძახიან, მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ განსაზღვრებას. მაგალითად, სწავლების დროს, როდესაც მოსწავლეები გარკვეულ ღირებულებას ქმნიან, მაგრამ ბუნდოვანია თუ რა კომპეტენციებს ივითარებენ და პირიქით, როდესაც კომპეტენციებს ივითარებენ, მაგრამ არ ჩანს ღირებულების ნაწილი.

ზოგადად, სამეწარმეო განათლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც არამხოლოდ კომპეტენცია, არამედ სწავლების მიდგომა, როგორიცაა პროექტული სწავლება ან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. ფაქტობრივად, ეს არის სწავლების სტრატეგია, რომელიც აქტიური სწავლების მეთოდებს მოითხოვს, მაგალითად: გუნდური მუშაობა, შემოქმედებითი აზროვნების წახალისება, ადეკვატური დრო განხორციელებისათვის, გარე სამყაროსთან ურთიერთობა და ა.შ. თუმცა, სხვა მიდგომებისაგან განსხვავებით, ზემოთ აღნიშნული განმარტების მიხედვით, სამეწარმეო განათლებაში მთავარი საკითხი სწორედ ღირებულის შექმნაა, ღირებულის შექმნა საზოგადოებისათვის. შესაბამისად, სასწავლო გარემოც და პროცესიც გაცილებით უფრო პრაქტიკული და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული უნდა იყოს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ძირითად მსგავსებებსა და განსხვავებებს სამეწარმეო განათლებასა და სხვა მიდგომებს შორის (Lackeus, 2015)

საკითხები	სამეწარმეო განათლება	პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება	პროექტული სწავლება	საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება (Service-learning)
... პრობლემები	✕	✕	✕	✕
... შესაძლებლობები	✕			
... ავთენტურობა	✕	✕	✕	✕
... არტეფაქტების შექმნა	✕		✕	
... განმეორებითი ექსპერიმენტირება	✕			
... ინტერაქცია გარე სამყაროსთან	✕			✕
... ღირებულის შექმნა დაინტერესებული ჯგუფებისათვის/ საზოგადოებისათვის	✕			✕
... გუნდური მუშაობა	✕	✕	✕	
... მუშაობა ხანგრძლივი დროის მანძილზე	✕		✕	✕
... სიახლეები და ინოვაციები	✕			
... მარცხის რისკი	✕			

რაც შეეხება ადგილობრივ გამოცდილებას, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, „მეწარმეობა არის ინდივიდის უნარი იდეები აქციოს საქმედ. ის მოიცავს, როგორც შემოქმედებითი მიდგომის, ინოვაციისა და რისკის, ასევე დასახული მიზნის მისაღწევად დაგეგმვისა და პროექტების მართვის უნარს.“

დოკუმენტის მიხედვით, სწავლა-სწავლების მიზნებიდან ერთ-ერთია მოსწავლეს განუვითაროს მეწარმეობის, ინიციატივების გამოვლენისა და საქმედ ქცევის უნარები და ღირებულებები, რაც გულისხმობს შემდეგს:

- სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა;
- ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით;
- მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად. მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა.

მეწარმეობის კომპეტენციები გვხვდება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფშიც, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე, ხოლო ცალკე, არჩევით საგნად ისწავლება საშუალო საფეხურზე.

მე და საზოგადოება III-IV კლასი **ჩვენი საქართველო** V-VI კლასი **მოქალაქეობა** VII-IX კლასი	„აღნიშნული საგნების სტანდარტებით მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ინიციატივის გამოჩენა, საკუთარი საქმიანობების დაგეგმვა, ეკონომიკური თუ ფინანსური უნარ-ჩვევების გამოვლენა, სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობის გაცნობიერება, პროფესიის შერჩევისათვის საკუთარი შესაძლებლობისა და მოთხოვნილებების გააზრება“ (მესხი და აფხაზავა, 2020).
მეწარმეობის საფუძვლები X-XII კლასი	„ეროვნულ სასწავლო გეგმაში, არჩევითი საგნის „მეწარმეობის საფუძვლების“ აღწერისას აღნიშნულია, რომ მეწარმეობა აუცილებელი და სპეციფიკური ცხოვრებისეული კომპეტენციაა, რომელიც მოსწავლეს აძლევს საკუთარი ინიციატივების რეალიზებისა და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას. აქვე ჩამოთვლილია ის უნარები და ღირებულებები, რაც მოსწავლეს უნდა განუვითარდეს საგნის სწავლისას. მათ შორის მოიხსენიება ინიციატივის გამოჩენისადმი მიდრეკილება, ინიციატივის შემოქმედებით სამეწარმეო იდეად გარდაქმნის უნარი, ინოვაციებისა და რისკებისადმი რაციონალური დამოკიდებულება, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა და სხვ“ (მესხი და აფხაზავა, 2020).

ამავდროულად, განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, მეწარმეობის განვითარება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია პროფესიული განათლების მიმართულებითაც - „პროფესიული განათლების საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სამეწარმეო უნარების განვითარებას. სამეწარმეო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მოდული დაინერგება ყველა პროგრამის ფარგლებში, შემუშავდება სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა სამეწარმეო იდეების წახალისების მექანიზმები.“

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურ დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმა მეწარმეობას უფრო ფართო გაგებით განმარტავს და მოიცავს ყველა იმ ძირითად საკითხს, რაც ლიტერატურაში გვხვდება. მიუხედავად ამისა, ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული ხედვა ნაკლებად არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ და ისინი უფრო ვიწრო განმარტებას განიხილავენ. ამავდროულად, საკმაოდ შეზღუდულია და ფრაგმენტულია მასწავლებელთა გადამზადების თუ ცნობიერების ამაღლების აქტივობები თუ ინიციატივები.

გარდა ამისა, არსებული გარემო შეიძლება დავახასიათოთ როგორც „ხელისშემშლელი“ სამეწარმეო განათლების განვითარებისთვის. ამ მხრივ, იგულისხმება ჩაკეტილი სასკოლო კულტურა, როგორც მართვის, ასევე კანონმდებლობის კუთხით (მაგ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N837 ბრძანების საფუძველზე, სამინისტროს ნებართვის გარეშე სკოლებს დღემდე ეზღუდებათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის უფლება). ჩაკეტილ სასკოლო კულტურასთან ერთად, საკმაოდ პრობლემურია გაუმართავი სასკოლო ინფრასტრუქტურის საკითხიც, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია სამეწარმეო განათლების განვითარებისათვის. საბოლოო ჯამში კი, ეს ყველაფერი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში განაპირობებს სამეწარმეო განათლების ნაკლებ პოპულარობას.

რატომ? რატომ არის მეწარმეობის სწავლება მნიშვნელოვანი?

დასახელებულ მიზეზთაგან, თუ რატომ უნდა ისწავლებოდეს მეწარმეობა, ყველაზე ხშირად ეკონომიკურ განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას შეხვდებით. ამავდროულად, მზარდი გლობალიზაციის ფონზე, სწრაფად ცვალებად სამყაროში, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ტრანსფერული უნარების ქონა, რაც მეწარმეობასთან არის დაკავშირებული (Lackeus, 2015). თუმცა, ეკონომიკური ფაქტორების ხაზგასმა ხშირად უარყოფითადაც აისახება ხოლმე სამეწარმეო განათლების პრიორიტეტიზაციაზე. მასწავლებლები მას როგორც საფრთხედ ისე აღიქვამენ და სკოლების კომერციალიზაციას და ღირებულებების დაქვეითებას უკავშირებენ (Lackeus, 2015).

ამის მიუხედავად, არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ მეწარმეობის სწავლება ახალგაზრდებში ხელს უწყობს, როგორც დასაქმების პრობლემის მოგვარებას, ასევე ავითარებს ისეთ უნარებს, რომლებსაც გრძელვადიან პერსპექტივაში საზოგადოებისათვის სასიკეთო სოციალური ცვლილებების მოტანა შეუძლია (Eurydice, 2016).

მეწარმეობის სწავლისას მოსწავლეებმა უნდა გამოიმუშაონ უნარი და მზაობა, რათა შექმნან ღირებულება სხვა ადამიანებისათვის. ეს არის ანტერპრენერობის ძირითადი ასპექტი, რომელიც დღევანდელ ცხოვრებაში თითოეული ადამიანისთვისაა საჭირო. სამეწარმეო განათლება ასევე ხელს უწყობს პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებას და დაკავშირებას რეალურ ცხოვრებასთან. ამავდროულად, კვლევების მიხედვით, ის სწავლისადმი მოტივაციას უზრდის მოსწავლეებს, სტიმულს აძლევს სწავლის გასაგრძელებლად და ზრდის სკოლისადმი კმაყოფილების განცდას. მოსწავლეები უფრო თავდაჯერებულები ხდებიან მომავალი გამოწვევების დაძლევისა და საზოგადოებაში თავიანთი წვლილის შეტანის მხრივ (Rasmussen, et. Al, 2015).

დღესდღეობით, მეწარმეობა უფრო ხშირად განიხილება, როგორც საშუალება/მიდგომა მოსწავლეების გააქტიურების, ჩართულობის, შემოქმედებითი აზროვნებისა და ინტერესის გასაღვივებლად. ღირებულების შექმნა საზოგადოებისათვის (ჩვენ მიერ გამოყენებული დეფინიციის მთავარი ფაქტორი) საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს მოსწავლეებში და ცვლის მათ დამოკიდებულებას სწავლისადმი. ამავდროულად, მეწარმეობა დანახულია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი სკოლისა და საზოგადოების, სკოლისა და გარე სამყაროს დასაკავშირებლად.

სამეწარმეო განათლების პრიორიტეტიზაციისათვის დასახელებული ძირითადად მიზეზები (Lackeus, 2015):

- **სამუშაოს შექმნა** - მეწარმეები, როგორც ინოვატორები და ახალი სამუშაო ადგილების შემქმნელები;
- **გლობალიზაცია და ეკონომიკური განვითარება** - სწრაფად ცვალებად გარემოში, ადამიანებს, ორგანიზაციებსა და საზოგადოებას სჭირდებათ ტრანსფერული უნარები ადაპტაციისათვის. მეწარმეობა განიხილება, როგორც საშუალება, ერთი მხრივ, ცვლილებებთან ადაპტირების, მეორე მხრივ, აღნიშნული ცვლილებების გამოწვევისა და ეკონომიკური განვითარებისათვის;
- **ბედნიერება, ჩართულობა და შემოქმედებითობა** - ინდივიდუალურ დონეზე, ღირებულის შექმნა და შემოქმედებითობა ადამიანის ბედნიერებისათვის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. შესაბამისად, სწავლებისას მეწარმეობის მიდგომების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, მათი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას და სწავლით კმაყოფილებას. **საზოგადოებრივი გამოწვევები** - სოციალური მეწარმეობა ეხმიანება ისეთ გამოწვევებს, რომლებსაც საბაზრო ეკონომიკა ნაკლებად ითვალისწინებს.

საქართველოს კონტექსტში მეწარმეობის სწავლების დანერგვა საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული გამოწვევებიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

- სამეწარმეო განათლების კუთხით არსებული დაბალი ცნობიერება და ნაკლები ინტერესი, როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლებისა და თავად სკოლების მხრიდან. გარკვეულწილად, საშუალო საფეხურზე ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ორიენტირებით.
- მასწავლებლებში ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა და მათ შორის სწავლა-სწავლების რესურსების სიმცირე (ქართულ ენაზე, ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული რესურსები);
- სასკოლო გარემო და სკოლის ფარული კურიკულუმი: სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, მოსწავლეები ფაქტობრივად არ არიან ჩართულები სასკოლო პროცესების დაგეგმვასა თუ მართვაში, რაც ხელს უშლის მათში ინიციატივისა და მეწარმეობის კომპეტენციების განვითარებას.[2]
- გარდა ამისა, თვალსაჩინოა თანამშრომლობის ნაკლებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სკოლებს შორის. ამასთან, მეწარმეობის საკითხი არ ისწავლება მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებშიც.
- გარე აქტორების ნაკლები ინტერესი და მონაწილეობა სამეწარმეო განათლების განვითარების და სკოლებთან თანამშრომლობის კუთხით. ერთი მხრივ, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ეს მეტწილად გამოწვეულია ცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემითა და ხისტი კანონმდებლობით. მეორე მხრივ, გარე ექსპერტიზაც საკმაოდ ლიმიტირებულია და აღნიშნული მოცემულობა ამითაც არის განპირობებული. განსხვავებით ევროპული ქვეყნებისაგან, სადაც სამეწარმეო განათლების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ გარე აქტორებს ეკისრებათ, იქნება ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები თუ კერძო სექტორი. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი გამონაკლისები ძალიან ცოტაა, მაგ. ჯუნიორ ეჩივმენთ საქართველო (Junior achievement), სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი და სხვა.
- მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი მუნიციპალიტეტების მხრიდან და სკოლებთან თანამშრომლობის ფრაგმენტულობა.
- მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის არარსებობა და დაფინანსების სიმწირე, რაც სუსტი ეკოსისტემის კიდევ ერთი გამომწვევი მიზეზია. ევრიდიკეს ანგარიშის მიხედვით, ევროპის ქვეყნებში სამეწარმეო განათლების მნიშვნელობა სწორედ სტრატეგიებისა და მის მიხედვით არსებული დაფინანსების მექანიზმებით დასტურდება.

[2] აფხაზავა და მესხი, 2020. მეწარმეობის სწავლება სასკოლო განათლების სისტემაში - მიმოხილვა.

როდის? როდის რა უნდა ისწავლებოდეს?

იმისათვის, ჰომ სამეწაჰმეო განათღება სასკოღო განათღების ინტეგჰუღი ნაწიღი იყოს, ის უნდა იყოს მოსწავღეზე ოჰიენტიჰებუღი დაწყებით საფეხუჰზე, საგანზე ოჰიენტიჰებუღი საბაზო საფეხუჰზე, პჰოფესიაზე ოჰიენტიჰებუღი საშუაღო საფეხუჰზე და მიმაჰთუღებაზე ოჰიენტიჰებუღი უმაღღეს განათღებაში (Lackeus, 2015).

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნება ვთქვათ, რომ სამეწარმეო განათლების ინტეგრირება ყველა საფეხურზე (მათ შორის სკოლამდელ) მნიშვნელოვანი და გონივრული იქნება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მეწარმეობის განვითარება და მასთან დაკავშირებული გამოცდილებების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში განსხვავებული ტიპის სწავლებას და მიდგომებს მოითხოვს.

მეწარმეობრივი აზროვნების განვითარებისათვის მოსწავლეებს სჭირდებათ კონკრეტული გამოცდილებები, შემოქმედებითი მიდგომების გამოყენება, გუნდური მუშაობა და გარე სამყაროსთან ურთიერთობა. ბუნებრივია, აღნიშნული გამოცდილებების განვითარება, მარტივი ამოცანებიდან უფრო კომპლექსურზე გადასვლით, ასაკის მატებასთან ერთად უნდა ხდებოდეს. ამავდროულად, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ პროცესში მოსწავლეებს უნდა გამოუმუშავდეთ თავდაჯერებულობა, რისთვისაც, მათ უნდა ჰქონდეთ რამდენიმე წარმატებული გამოცდილება შემდგომი განვითარებისათვის.

დღესდღეობით, სამეწარმეო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში ინტეგრირების კუთხით, ერთ-ერთ მიდგომად პროგრესიის მოდელი განიხილება. პროგრესიის მოდელის მიხედვით, ასაკობრივ ზრდასთან ერთად, იცვლება მეწარმეობის განმარტება და სწავლის შედეგები. ამავდროულად, უცვლელია სწავლების მიდგომები. დანიის მეწარმეობის ფონდის მიერ შემუშავებული მოდელის მიხედვით, მასწავლებლებმა, განურჩევლად სასწავლო საფეხურისა, უნდა გაითვალისწინონ ოთხი განზომილება:

01 სამეწარმეო განათლება უნდა ეფუძნებოდეს პრაქტიკულ ქმედებებს. მოსწავლეებს გუნდურად მუშაობის და სხვებისათვის/საზოგადოებისათვის ღირებულებების შექმნის საშუალება უნდა ჰქონდეთ.

02 სამეწარმეო განათლება უნდა ავითარებდეს შემოქმედებითობის უნარს. მოსწავლეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ გამოცადონ თავიანთი იდეები, მიღებული ცოდნა და პრობლემების ახლებურად გადაწყვეტის გზები.

03 აღნიშნული გამოცდილებები დაკავშირებული უნდა იყოს გარე სამყაროსთან, საზოგადოებასთან, კერძო თუ საჯარო სექტორთან, სფეროს პროფესიონალებთან.

04 და ბოლოს, ის დაკავშირებული უნდა იყოს დამოკიდებულებით საკითხებთან, როგორებიცაა რწმენა საკუთარ თავში; გაურკვევლობასთან, ცვალებად გარემოსა და რისკთან გამკლავება.

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანია სამეწარმეო განათლება ინტეგრირებული იყოს კურიკულუმში და დაკავშირებული იყოს მოსწავლეთა ყოველდღიურობასთან, მათ გამოცდილებებთან და ინტერესებთან. ამავდროულად, როგორც სხვა საფეხურებზე, აქაც მნიშვნელოვანია კავშირი და ქმედებები საზოგადოებრივი გამოწვევების საპასუხოდ. ამ შემთხვევაში, იზრდება მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნება, ჩართულობა და თვითდაჯერებულობა.

მეორე მხრივ, მათ უჩნდებათ გაურკვევლობისა და ორაზროვნების განცდა, რაც დასაწყისში შესაძლოა ნეგატიურად აისახოს. მნიშვნელოვანია მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებებს, რაც, თავის მხრივ, ცოდნის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

საბაზო საფეხურზე გამოიყენება, როგორც ინტეგრირებული მიდგომა, ასევე ცალკე საგნის შემოღებაც. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მეწარმეობის ცნების უფრო დავიწროება და ბიზნესის ელემენტების შემოღება. მაგალითად, კომპანიისა თუ საწარმოს დაფუძნება და ა.შ. ამ დროს, რისკები იზრდება, რაც მარცხის შანსებსაც ზრდის, შესაბამისად მოსწავლეებს უვითარდებათ შეუპოვრობის უნარები და კონსტრუქციული დამოკიდებულება მარცხისადმი.

და ბოლოს, საშუალო საფეხურზეც შესაძლებელია ორივე მიდგომის გამოყენება. ამ დროს მოსწავლეებს უვითარდებათ სწრაფვა და შესაძლებელია მეწარმეობრივი იდენტობაც. ამ შემთხვევაში, გაცილებით უფრო მეტი შანსია მათი ფორმალურ მეწარმეობაში ჩაბმის, თანამშრომლობის ინიცირების სხვა ორგანიზაციებთან/ კომპანიებთან და ა.შ.

რაც შეეხება საქართველოს კონტექსტს, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ყველა საფეხურზე მოიცავს სამეწარმეო განათლების კომპონენტებს, სამწუხაროდ, საფეხურებს შორის ნაკლები კავშირებისა და ტრანზიციების, ასევე მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის მწირი კულტურის გამო, მისი განვითარება ფრაგმენტული და უსისტემოა.

როგორ? როგორ უნდა ისწავლებოდეს მეწარმეობა სკოლებში?

მეწარმეობის სწავლებასთან დაკავშირებული დისკუსია ძალიან ჰგავს დისკუსიას ტრადიციულსა და პროგრესულ სწავლებებს შორის განსხვავების შესახებ. დღეს-დღეობით, მიუხედავად მრავალმხრივი პროგრესისა, ტრადიციული მიდგომების ცვლილება განათლებაში საკმაოდ რთულია, მათ შორის სტანდარტიზებული ტესტები, კონკრეტულ დროზე გამოყოფილი საგნობრივი სწავლება, განმსაზღვრელი შეფასებები და ა.შ. ამის საპირისპიროდ, სამეწარმეო განათლება გულისხმობს თანამშრომლობას, ექსპერიმენტირებას, მულტიდისციპლინარულ და ინდივიდუალურ მიდგომებს. შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა უკავშირდება იმას, თუ როგორ უნდა განვუვითაროთ მოსწავლეებს მეწარმეობრივი აზროვნება.

ამ კითხვაზე ერთ-ერთი პასუხია სწავლა კეთებით. მკვლევრები თანხმდებიან, რომ გუნდური მუშაობა, როდესაც მოსწავლეებს კავშირი აქვთ გარე სამყაროსთან, მნიშვნელოვანი მიდგომაა მეწარმეობის უნარების განვითარებისათვის. ცხადია, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. აქედან გამომდინარე, „სწავლა კეთებით“ მიდგომის განხილვისას, ჩნდება კითხვა სწავლა „რისი“ კეთებით?

აქ კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ მეწარმეობის განმარტებას. ზოგიერთი განმარტების მიხედვით, მეწარმეობა ეს არის სხვების დახმარების ალტრუისტული ქმედება. მასწავლებლებმა მოსწავლეებს ისეთი ამოცანები უნდა მისცენ, რაც დაკავშირებული იქნება საზოგადოებისათვის ღირებულ(ებ)ის შექმნასთან. სასურველია ეს იყოს რაიმე ინოვაციური.

სწორედ ასეთი დავალებები აღვიძებს მოსწავლეებში გაურკვევლობას და დაბნეულობას, რაც პოზიტიურ შედეგად შეიძლება აღვიქვათ და რაც ცოდნის გაღრმავების საფუძველია. კიდევ ერთხელ, ამ დროს მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის შემოქმედებითი მიდგომების გამოყენების შესაძლებლობა, გუნდური მუშაობის წახალისება და შესაბამისი/ადეკვატური დროის მიცემა, რათა მათ დაამყარონ კავშირი გარე სამყაროსთან, გარე დაინტერესებულ მხარეებთან თუ პოტენციურ პარტნიორებთან. ბუნებრივია, მთელი ამ პროცესის განმავლობაში მასწავლებლის მხრიდან მნიშვნელოვანია აქტიური ჩართულობა და რჩევების მიცემა მოსწავლეთათვის.

სამეწარმეო განათლების მოდელი და მისი შედეგები: *კავშირი ამოცანებს, ემოციურ სიტუაციებს/აქტივობებსა და სამეწარმეო კომპეტენციებს შორის.*

ამოცანები / დავალებები

- ღირებულ(ებ)ის შექმნა
- კომპანიის/საწარმოს დაფუძნება

ემოციური მომენტების, სიტუაციებისა და აქტივობების შექმნა

- ინტერაქცია გარე სამყაროსთან (მაგ. თანამშრომლობა ორგანიზაციებთან ან ურთიერთობა სპეციალისტებთან, თემატურ ჯგუფებთან და ა.შ.)
- გაურკვევლობის დაბნეულობის გამოწვევა
- გუნდური გარემოს შექმნა
- სხვებთან წარდგენა/ პრეზენტაციები
- და ა.შ.

მეწარმეობის კომპეტენციების განვითარება

- თვითდაჯერებულობის ზრდა
- გაურკვევლობასთან, ცვალებად გარემოსა და რისკთან გამკლავების უნარის განვითარება
- თვითშემეცნების განვითარება
- მეწარმეობრივი იდენტობის განვითარება
- ეკონომიკური/ საბაზრო უნარების განვითარება

ეს მოდელი ახლოს დგას პერსპექტივასთან, რომელიც ლევ ვიგოტსკიმ ჩამოაყალიბა და გულისხმობს, რომ სწორედ ინტერაქცია და აქტივობები განაპირობებს სასწავლო პროცესს. შესაბამისად, სწორედ ინტერაქცია და აქტივობები უნდა იყოს შეფასების ფოკუსი და არა თავად კომპეტენციები. ამ შემთხვევაში, შეფასების სტრატეგიები შესაძლოა მოიცავდეს დაინტერესებულ პირთა მონაწილეობას პროცესებში, მოსწავლეთა გამოკითხვას იმის შესახებ თუ ვისთან ჰქონდა კომუნიკაცია (იგულისხმება გარე აქტორი) და აშ. ამ ტიპის შეფასებას შესაძლოა ვუწოდოთ კონსტრუქციული შესაბამისობა, როდესაც შეფასების სისტემა მოსწავლეების საჭიროებებთანაა შესაბამისობაში. სხვა სიტყვებით, შეფასება განაპირობებს იმას, თუ რას ვასწავლით.

რაც შეეხება კონკრეტულ ინსტრუმენტებს, დასახელებულ მექანიზმებს შორის, რაც შეიძლება მასწავლებლებმა გამოიყენონ, გამოვყავით შემდეგი:

- **კანვასის ბიზნეს მოდელი** - კანვასის ბიზნეს მოდელი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდად გამოყენებადი და ინოვაციური ინსტრუმენტია, როგორც კერძო, ასევე საჯარო და საზოგადოებრივ სექტორებში. მოდელის ძირითადი ხიბლი ის არის, რომ ის ერთ გვერდზე გვაჩვენებს ორგანიზაციის მთლიან სტრატეგიასა და კავშირებს სხვადასხვა მიმართულებას შორის. ბიზნეს მოდელის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის აღწერს თუ როგორ ახერხებს ორგანიზაცია შექმნას ღირებული პროდუქტი, სერვისი ან სხვა რესურსი და მიაწოდოს ის მომხმარებელს. უფრო მეტი ინფორმაცია იხილეთ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის სოციალური ინოვაციების პლატფორმაზე - www.socialinnovation.ge/მთავარი/resources

- **დიზაინერული აზროვნება** - „დიზაინერული აზროვნების მიდგომა აერთიანებს მომხმარებლის ან კლიენტის თვალსაზრისის სიღრმისეულად გააზრებას და პროტოტიპის შექმნის სწრაფ პროცესს. ამ კომპონენტების მიზანი უნდა იყოს იმ წინასწარი განწყობების განეიტრალება, რომლებიც ხელს უშლის ქმედუნარიანი გამოსავლების მიგნებას. დიზაინერული აზროვნება, რომელსაც ახასიათებს ოპტიმიზმი, კონსტრუქციულობა და ექსპერიმენტულობა, პასუხობს იმ ადამიანების

რეალურ საჭიროებებს, რომლებმაც უნდა მოიხმარონ პროდუქტი თუ სერვისი და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა."

მეტი ინფორმაცია იხილეთ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის სოციალური ინოვაციების პლატფორმაზე - www.socialinnovation.ge/მთავარი/resources

- **საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება**, რომელიც ძალიან ჰგავს სამეწარმეო განათლებას, „გულისხმობს მეთოდს, რომლის დროსაც მოსწავლეები სწავლობენ გააზრებულად, ორგანიზებულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით... [მას] თემის ჩართულობით სწავლებასაც უწოდებენ, რადგან ის სასწავლო მიზნებსა და საზოგადოების სამსახურს აერთიანებს ისე, რომ მოსწავლეთა განვითარებასაც უწყობს ხელს და საზოგადოების კეთილდღეობასაც. ის სწავლებისა და სწავლის სტრატეგიაა, რომელიც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობას სწავლებასა და აზროვნებასთან აერთიანებს, რითაც ხელს უწყობს სწავლის გამოცდილებას, ასწავლის სამოქალაქო პასუხისმგებლობას და აძლიერებს თემს" (ჭიაბრიშვილი, 2021).

- **პოზიტივზე ორიენტირებული კვლევა** (Appreciative Inquiry) – „მოდელი ავითარებს პოზიტიურ მიდგომას საკითხისადმი და აქცენტს აკეთებს არა პრობლემაზე არამედ იმაზე თუ რა მუშაობს პრობლემის დაძლევისათვის კარგად და რატომ. AI მოდელი სოციალურ კონსტრუქტივისტულ თეორიას ეფუძნება და ორგანიზაციული განვითარებისათვის იყენებს ალტერნატიული ნარატივის შექმნას, ამბის თხრობის გზით და ცდილობს შექმნას უკეთესი მომავლის სურათი, რომლის გაზიარებაც და გათავისებაც ცვლილებების წარმატებით განხორციელების წინაპირობა იქნება" (ჭანტურია, 2019).

- **წარმატებული სტარტაპი** (lean startup) – „Lean მეთოდოლოგია შენი ორგანიზაციის ფინანსური და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის გზაა, რომელიც მთლიანადაა მიმართული მომხმარებლისთვის ღირებულების შექმნისკენ. ის ორ ამომავალ დოგმას ეფუძნება: მუდმივი გაუმჯობესება და ხალხის პატივისცემა".[3]

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, სამეწარმეო განათლების განვითარებისა და სწავლა კეთებით პრაქტიკების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია გარე აქტორების მონაწილეობის გაძლიერება სასკოლო განათლების სისტემაში. ამ მხრივ, საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაცია თუ საქმიანობს, მათ შორის არიან ჯუნიორ ეჩივმენთი (Junior Achievement), სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, ახალგაზრდული ინოვაციების ცენტრი და სხვა.

რაც შეეხება საქართველოს კონტექსტს, სამწუხაროდ, არაერთი კვლევის მიხედვით, ძირითადად მაინც სწავლების ტრადიციული მიდგომები გამოიყენება, რაც სამეწარმეო განათლების წახალისებას ნამდვილად არ უწყობს ხელს. ცხადია, ეს პრობლემები ისევ და ისევ ეკოსისტემის გაჯანსაღებასა და მასწავლებელთა კომპეტენციების განვითარებასთან არის დაკავშირებული (დეტალურად იხ. მეორე ნაწილი „რატომ არის მეწარმეობის სწავლება მნიშვნელოვანი?")

[3] https://medialab.ge/news/3-mtavari-gakvetili-lean-startapidan-romlebits-kritikulia-kvela-ambitsiuri-startaperis-stsrapi-zr

საიდან დავიწყოთ

როგორც შესავალშია აღნიშნული, სამწუხაროდ, დღესდღეობით სამეწარმეო განათლების შესახებ საკმაოდ დაბალია ცნობიერება, როგორც საზოგადოებაში, ასევე სასკოლო თემში. აქედან გამომდინარე, ნაკლებია ინტერესი საკითხისადმი. შესაბამისად, სასკოლო დონეზე კონკრეტული ინტერვენციების განხორციელებამდე, მნიშვნელოვანია ნიადაგის მომზადება და ეკოსისტემის განვითარება. სხვა სიტყვებით, მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. უფრო კონკრეტულად:

01 პროგრამის შემუშავება

ამ მხრივ, ვფიქრობთ სასურველია შემუშავდეს კონკრეტული სახელმწიფო პროგრამა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (ან მისდამი დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს) ფარგლებში. პროგრამის ალტერნატივად შესაძლოა ასევე განვიხილოთ თემატური სტრუქტურული ერთეულის შექმნა სამინისტროში.

02 ცნობიერების ამაღლება

ცნობიერების ამაღლების კამპანიის მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია დეფინიციაზე შეთანხმება. ის თუ როგორ განვმარტავთ სამეწარმეო განათლებას, განაპირობებს იმას თუ რა ნაბიჯებს გადავდგამთ და რა მიდგომას გამოვიყენებთ მის დასანერგად. ვფიქრობთ, აღნიშნული ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს სრულიად სასკოლო საზოგადოებაზე, მაგრამ განსაკუთრებული ფოკუსი უნდა გაკეთდეს მასწავლებლებსა და მშობლებზე.

ცხადია, ცნობიერების ამაღლების საკომუნიკაციო კამპანიის ეფექტიანობისათვის, მნიშვნელოვანი იქნება აქტიური თანამშრომლობა გარე აქტორებთან, როგორც საზოგადოებრივ თუ სათემო ორგანიზაციებთან, ასევე კერძო სექტორთან.

03 რესურსების განვითარება

კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სწავლა-სწავლების რესურსების განვითარება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, როგორც სასწავლო რესურსების, ასევე მეთოდური სახელმძღვანელოების შემუშავება და მათი გავრცელება. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, როგორც არსებული მასწავლებლების გადამზადება, ასევე მომავალი მასწავლებლების შესაბამისად მომზადება. პირველ შემთხვევაში, შესაძლოა შესაბამისი გადამზადებების ორგანიზება, ონლაინ თვითმართვადი კურსებისა და დამხმარე ინსტრუმენტების შემუშავების გზით. თავის მხრივ, საგნობრივ ასოციაციებსა თუ სხვა თემატურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ აღნიშნული რესურსების შემუშავებასა და გავრცელებაში, რის მისაღწევადაც მნიშვნელოვანია ეს საკითხი პოლიტიკის დღის წესრიგში დადგეს.

რაც შეეხება მომავალ მასწავლებლებს, ამ მხრივ, შესაძლებელია საუნივერსიტეტო პროგრამებში სამეწარმეო განათლების სწავლების ინტეგრირება, მათ შორის საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე (მაგ. უნგრეთის გამოცდილება[4]).

04 პლატფორმის შექმნა

რესურსების განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანია შესაბამისი პლატფორმის შექმნა, რომელიც გააერთიანებს და გარკვეულწილად კოორდინაციას გაუწევს სამეწარმეო განათლებაზე მომუშავე ორგანიზაციებს და დაკავშირებულ რესურსებსა თუ სხვა სახის ინფორმაციას.

05 საკანონმდებლო სისტემის გამართვა

სამეწარმეო განათლების კუთხით, მნიშვნელოვანია ასევე საკანონმდებლო სისტემის გაჯანსაღება და მოქნილობა. პირველ რიგში, ზემოთხსენებული არსებული ბარიერების მოხსნა, რაც ხელს უშლის სკოლისა და საზოგადოების თანამშრომლობას. მეორე მხრივ კი სფეროს პროფესიონალების მოზიდვა და სისტემაში შემოყვანა. ამ კუთხით, შესაძლებელია თანამშრომლობა კერძო სექტორთან თუ ფონდებთან.

06 თანამშრომლობა

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, სამეწარმეო განათლების დასანერგად აუცილებელია სახელმწიფოსა და კერძო აქტორების თანამშრომლობა და ამ უკანასკნელის აქტიური მონაწილეობა სამეწარმეო განათლების პოპულარიზებისა და ხელშეწყობის კუთხით. ამ მიმართულებით საქართველოში არსებული მდგომარეობა დამაიმედებელი ნამდვილად არ არის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კერძო-საჯარო სექტორებს შორის კავშირებისა და თანამშრომლობის კულტურის ხელშეწყობა, გარე აქტივობებისა და ინიციატივების წახალისება (მათ შორის, ზემოხსენებული ბარიერების მოხსნით), რადგან სამეწარმეო განათლების მიმართულებით სწორედ გარე ორგანიზაციებს უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვთ დაგროვილი.

ამავდროულად, თანამშრომლობასთან ერთად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა აქტორების გაძლიერებაც, როგორებიც არიან ცალკეული რესურსული სკოლები, უნივერსიტეტები, პროფესიული კოლეჯები, საგანმანათლებლო ასოციაციები, თუ საკითხზე მომუშავე არაფორმალური განათლების ორგანიზაციები.

07 დაფინანსება

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, სამეწარმეო განათლების დასანერგად აუცილებელია სახელმწიფოსა და კერძო აქტორების თანამშრომლობა და ამ უკანასკნელის აქტიური მონაწილეობა სამეწარმეო განათლების პოპულარიზებისა და ხელშეწყობის კუთხით. ამ მიმართულებით საქართველოში არსებული მდგომარეობა დამაიმედებელი ნამდვილად არ არის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კერძო-საჯარო სექტორებს შორის კავშირებისა და თანამშრომლობის

[4] დეტალები იხილეთ სკოლა-ლაბის რესურსების გვერდზე - www.ctcskolalab.ge

კულტურის ხელშეწყობა, გარე აქტივობებისა და ინიციატივების წახალისება (მათ შორის, ზემოხსენებული ბარიერების მოხსნით), რადგან სამეწარმეო განათლების მიმართულებით სწორედ გარე ორგანიზაციებს უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვთ დაგროვილი.

ამავდროულად, თანამშრომლობასთან ერთად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა აქტორების გაძლიერებაც, როგორებიც არიან ცალკეული რესურსული სკოლები, უნივერსიტეტები, პროფესიული კოლეჯები, საგანმანათლებლო ასოციაციები, თუ საკითხზე მომუშავე არაფორმალური განათლების ორგანიზაციები.

ბიბლიოგრაფია

მესხი, თ. და აფხაზავა, რ. 2020. მეწარმეობის სწავლება სასკოლო განათლების სისტემაში: მიმოხილვა. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის სკოლალაბის პროგრამა.

ქანტურია, გ. და ნაგი, ს. 2022. ახალგაზრდა მეწარმე მასწავლებელთა ინიციატივა (YETI). კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის სკოლალაბის პროგრამა.

ქანტურია, გ. განათლების საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები. სამაგისტრო ნაშრომი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ქიაბრიშვილი, ნ. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება.
ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge;
სტატია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://mastsavlebeli.ge/?p=28696

Bacigalupo, M., Kampylis, P., Punie, Y., Van den Brande, G. (2016). EntreComp: The Entrepreneurship Competence Framework. Luxembourg: Publication Office of the European Union; EUR 27939 EN; doi:10.2791/593884

European Commission/EACEA/Eurydice, 2016. Entrepreneurship Education at School in Europe.
Eurydice Report. Luxembourg: Publications Office of the European Union.

Lackeus, M. 2015. Entrepreneurship Education: What, Why, When, How. Entrepreneurship 360: Background Paper. OECD.

Rasmussen, A., Moberg, K., and Revsbech, C. 2015. A Taxonomy of Entrepreneurship Education – Perspectives on Goals, Teaching and Evaluation. The Danish Foundation for Entrepreneurship.

სოციალური ინოვაციები
socialinnovation.ge
SKOLA-LAB
სკოლა-ლაბი
MEOUT group
SZLOVÁKIAI Mmagyar VÁLLALKOZÓK SZÖVETSÉGE
CENTRUM PRO PODPORU
PODNIKÁNÍ A ZAMĚSTNANOSTI